განკარგულება:**გ-49. 49261145**
თარიღი:**24/04/2026**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N9 (გ-49.49260288) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე'' პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N9 (გ-49.49260288) განკარგულებაში და ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიამ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა

N	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივა-ტიზებო საფა-სური	აუქციონით განკრაგვის ფორმა (პირობით უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი გეგუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-1340 კვ.მ შენობა-ნაგებობა N1 398.67 კვ.მ	29.14.37.451	99 800	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში შესასყიდ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას)
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი წყალტუბო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-45 კვ.მ შენობა-ნაგებობა N1 34,38 კვ.მ	29.05.36.176		უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში შესასყიდ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას)

საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	ქონების ადგილ-მდებარეობა	გამოშვების წელი. სახელმწიფო ნომერი და კოდი	საწყისი საპრივა-ტიზებო საფასური	აუქციონით განკრაგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
TOYOTA PRADO	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25	2008 წელი. სახელმწიფო ნომერი: UU 901 UQ; ს/კოდიJTEBU29J90 5129678;	17000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში